ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**g-29. 29232142**
თარიღი:**02/08/2023**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ 2008 წელს რუსეთის სახელმწიფოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ტრაგიკულად დაღუპული ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენოსანი, სერჟანტი ვალერი გოგნაძე არის საზოგადო მოღვაწე, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება საქართველოს წინაშე სამშობლოს დაცვის საქმეში.

შესაბამისად, ვალერი გოგნაძის სახელის უკვდავყოფის მიზნით,

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 და მე-4 ნაწილების, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩის მაცხოვრებლების 2022 წლის 29 სექტემბრის N19/29222721-29 განცხადების თანახმად, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 19 ივნისის სხდომის N 37 ოქმის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა**:

მუხლი 1. მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ვალერი გოგნაძის სახელი თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველ ქუჩას.

x	y
333317.3	333909.1
4670859.6	4670347.3

მუხლი 2. განკარგულება შემდგომი რეაგირებისათვის გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელიც 4 თვის ვადაში უზრუნველყოფს კონკრეტული ღონისძიებების გატარებას (აბრების, რუკების, ცნობარების და სხვა დამზადებას, კორექტირებას, გავრცელებას და ა.შ)

მუხლი 3. განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიას, გარდაცვლილის ოჯახს, საინიციატივო ჯგუფს,საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

მუხლი 4. განკარგულება გამოქვეყნდეს ადგილობრივ გაზეთში და ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე, მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავითი გოგბერაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი